



ავანბეკი

სადგურ ველში, მდ. ლოჭინოზე არსებული ლითონის რყინიგზის ხიდის დემონტაჟისა და ახალი რყინაბეტონის ხიდის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის

მომსახურება (NAT210020869)

(კორექტირებული ექსპერტიზის შენიშვნების მიხედვით)

დეტალური პროექტი

თბილისი, 2022

სს „საქართველოს რკინიგზა—
თამარ მეფის გამზ. №15, თბილისი, საქართველო



შპს „ავანბეკი—
ნიაზის I შესახვევი №2, თბილისი, საქართველო



სადგურ ველში, მდ. ლოჭინოზე არსებული ლითონის რკინიგზის ხიდის დემონტაჟისა და ახალი რკინაბეტონის ხიდის
მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება (NAT210020869)
(კორექტირებული ექსპერტიზის შენიშვნების მიხედვით)



სადგურ ველში, მდ. ლოჭინოზე არსებული ლითონის რკინიგზის ხიდის დემონტაჟისა და ახალი რკინაბეტონის ხიდის
მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება (NAT210020869)
(კორექტირებული ექსპერტიზის შენიშვნების მიხედვით)

დირექტორი:



ვ. ათაბეგაშვილი

მთავარი ინჟინერი:



ბ. ბირბიჩაძე

პროექტის ავტორი:



ზ. გეგეჭკორი

სადგურ ველში, მდ. ლოჭინოზე არსებული ლითონის რკინიგზის ხიდის დემონტაჟისა და ახალი რკინაბეტონის ხიდის
მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება (NAT210020869)
(კორექტირებული ექსპერტიზის შენიშვნების მიხედვით)

1. განმარტებითი ბარათი
2. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები
3. გრაფიკული ნაწილი
4. სამუშაოთა მოცულობები
5. დანართები

ზოგადი ინფორმაცია

სადგურ ველში, მდ. ლოჭინოზე არსებული ლითონის რკინიგზის ხიდის დემონტაჟისა და ახალი რკინაბეტონის ხიდის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია შპს „ავანბეკი“-ს მიერ სს „საქართველოს რკინიგზასთან“ 2021 წლის 8 დეკემბერს გაფორმებული # შს/21-353 ხელშეკრულების საფუძველზე.

ხიდის მოცემული სქემა შერჩეული იქნა ტექნიკური მიზენშეწონილობიდან გამომდინარე არსებულ სიტუაციასთან უკეთ მისადაგების მიზნით;

ასაშენებელი ხიდი მდებარეობს მდ. ლოჭინოზე, ქვემო ქართლის რეგიონში, ქ. თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვართან. ძველი, ავარიული ხიდი აშენებულია 1907 წელს, ხოლო მალის ნაშენები გამოცვლილია 1936 წელს.

პროექტირების საფუძველები

პროექტირების საფუძველს წარმოადგენს დამკვეთის მიერ გაცემულ ტექნიკურ დავალებაში ჩამოთვლილი პირობები და ტექნიკური მაჩვენებლები. ტექნიკური მაჩვენებლების შესაბამისად პროექტი შემდეგი ნაწილებისგან შედგება:

ტოპოგრაფიული აგეგმვა

გეოლოგიური კვლევა-ძიება

მისასვლელის პროექტირება

ნაგებობის (ხიდის) პროექტირება

ჰიდროლოგიური გაანგარიშება

პროექტი შესრულებულია ციფრულ ფორმატში რელიეფის ციფრულ მოდელში აბსოლუტური x, y, z კოორდინატებით. დაპროექტებისას გამოყენებული იყო ტექსტისა და ცხრილებისათვის MS Office პროგრამა, ხოლო გრაფიკული დოკუმენტების შესადგენად ACAD პროგრამა.

ტოპოგოდეზიური მონაცემები

დაპროექტებისათვის ძირითადი ტოპოგოდეზიური მონაცემები აღებულია საქართველოს სახელმწიფო რუკიდან, მასშტაბი 1 : 50000. მდებარეობის უკეთ განსასაზღვრად დაპროექტების პროცესში გამოყენებულ იქნა შესაბამისი ციფრული ორთოფოტოები. ზუსტი ადგილმდებარეობის განსასაზღვრად გამოყენებულ იქნა Google რუკები. რელიეფის ციფრული მოდელის აგებას საფუძველად დაედო 2021 წლის დეკემბერში შპს „ავანბეკის“ მიერ შესრულებული ტოპოგოდეზიური აგეგმვა.

საინჟინრო - გეოლოგიური კვლევა

შპს „ავანბეკთან“ გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე, შპს „გეოლოგია და მინერალურმა რესურსებმა“ ჩაატარა გეოლოგიური საკვლევადიებო სამუშაოები. საველე სამუშაოების დროს განხორციელდა ჭაბურღილების ბურღვა დამპროექტებლის მიერ მითითებული რაოდენობისა და სიღრმის მიხედვით (СНП 1,02,07-87 გამოყენებული იქნა, როგორც სახელმძღვანელო).

ნიმუშები დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურით ამოღებული იქნა ჭაბურღილებიდან, მომავალში მათი ლაბორატორიაში ტესტირების მიზნით.

საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის მოსამზადებლად გამოყენებული იქნა შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები - pn 02.01-08; pn 01.01-09; СНП 2,02,01-83, ГОСТ 25100-82, BS1377, ნაწილი 4.

ზოგადი მიმოხილვა

სახიდე გადასასვლელი მდებარეობს საქართველოს რკინიგზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთზე. ვინაიდან ეს მონაკვეთი არის საპორტო ქალაქ ფოთსა და ქ. ბაქოს დამაკავშირებელი მაგისტრალური რკინიგზის განუყოფელი ნაწილი ადვილი წარმოსადგენია აღნიშნული სარკინიგზო მაგისტრალის როგორც ეკონომიური ასევე პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა. საქართველოს რკინიგზის ეს ნაწილი აშენებულია IXX საუკუნის ბოლოს,

წარმოადგენს შავ ზღვასთან უმოკლეს დამაკავშირებელ არტერიას როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის ასევე შუაზიიდან მომავალი ტვირთებისათვისაც.

სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქ.თბილისის ტერიტორიულ ერთეულში.

თბილისში ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულზე გარდამავალი ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული, საშუალო წლიური ტემპერატურა 12,7 °C, იანვარი 0,9 °C, ივლისი 24,4 °C; აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა — 23 °C, აბსოლუტური მაქსიმალური 40 °C. ნალექები 560 მმ წელიწადში. უხვნალექიანია მასი (90 მმ), მცირენალექიანი — იანვარი (20 მმ). თოვლის სახით ნალექი შეიძლება მოვიდეს საშუალოდ 15-25 დღე წელიწადში. გაბატონებულია ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ხშირია აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი.

გეომორფოლოგიური და გეოლოგიური აგებულება, ჰიდროგეოლოგია და სეისმური აქტივობა

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია განთავსებულია იანლოს ქედის ქვედა ნაწილში მდ.მტკვრის ხეობის მარცხენა ტერასულ საფეხურზე.

იანლოს ქედი დაკავშირებულია ქართლის ქედის სისტემასთან და წარმოადგენს საგურამოს ქედის აღმოსავლეთ, განედურ გაგრძელებს სოფ. კოტორაანთ კარიდან სოფ. პალდომდე. ქედის რელიეფი ტიპური ტექტოგენურ-ეროზიულია აგებული პალეოგენური და ნეოგენური ასაკის ნორმალურად დანალექი ქანების სუბსტრატზე. განივ ჭრილში ქედი ასიმეტრიულია, მოკლე და უფრო ციცაბო ჩრდილოეთი და გრძელი და შედარებით დამრეცი სამხრეთი ფერდობებით. აღმოსავლეთ დაბოლოებაზე ქედის თხემი ვიწროა, გართულებული დაბალი მწვერვალებით აბსოლუტური მიწნულებით 1700-1800 მ-ის ფარგლებში. ივრის ხეობის ძირში სიმაღლეები სწრაფად კლებულობს და სოფ. პალდოსთან 900-850, ხოლო სოფ. უჯარმასთან 800-850 მ-მდე მცირდება.

უშუალოდ საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის ტერასას, რომლის ზედაპირი წარმოადგენს მოსწორებულ ადგილს. რელიეფი ოდნავ დახრილის სამხრეთ-აღმოსავლეთით (მდ. მტკვრის დინების მიმართულებით) და გააჩნია სწორი და მოვაკებული ზედაპირი.

აღნიშნული ტერასა გეომორფოლოგიურად წარმოადგენს ხეობის ნაპირიდან 7-9 მეტრით ამაღლებულ ტერასულ საფეხურს, ფართო და მოვაკებული ზედაპირს, რომლის აბსოლუტური სიმაღლეები ჩრდილოეთიდან-სამხრეთით 360-350 მეტრამდე იცვლება.

პირველქმნილი რელიეფი შეცვლილია ანტროპოგენული ფაქტორით. სარკინიგზო ხიდის გასწვრივ თითქმის უწყვეტად აღნიშნება ახალი ზედაპირების შექმნა დაკავშირებული ტერიტორიების ათვისებასთან და სატრანსპორტო კომუნიკაციების გაყვანასთან.

რელიეფის ტიპური ანტროპოგენილი ფორმების ჩამოყალიბება განპირობებულია ფერდობების მრავალრიცხოვანი ჩამოჭრებით, ღია კარიერული წისით ტერიტორიის დამუშავებით, საგზაო-სარკინიგზო სისტემების, მილსადენების და მიმდებარედ არსებული ტერიტორიების სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით (საძოვრები, სახნავი სავარგულები) გამოყენებაში.

ამრიგად საკვლევ ტერიტორიაზე ფიქსირდება ტექნოპრესინგის გამოვლენის საკმაოდ მაღალი, ხოლო რიგ შემთხვევაში ზღვრული დონე.

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით (ე. გამყრელიძე 2000წ.) საკვლევი ტერიტორია მოქცეულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის სამხრეთი ზონის უკიდურეს ჩრდილო პერიფერიაზე და მოიცავს კრწანისის სინკლინური ნაოჭის სამხრეთ ფრთის, ღერძულ ნაწილს, სადაც პლიოცენურ პერიოდში, შტირიული ოროგაზის შედეგად ჩამოყალიბდა ნაოჭა სტრუქტურები: თელეთის და გაჩიანის ანტიკლინები და მათ შორის არსებული ამართულის სინკლინი. აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულების ფარგლებში რღვევითი სტრუქტურები არ აღინიშნება.

ლითოლოგიურად რეგიონი აგებულია შუა-ეოცენური ასაკის, ანდეზიზალტური შედგენილობის ლავა-ბრექჩიებით და ტუფებით (დაბახანის წყების ოლისოსტრომები), ზედაეოცენური ასაკის ლიროლეპისიანი თიხაფიქლებით, ნუმულიტებიანი ქვიშაქვებით და არგილიტებით (ნავთლულის და თბილისის წყებები), რომლებსაც აღმავალ ჭრილში აგრძელებს ოლიგოცენ-ქვედამიოცენური ასაკის არაკარბონატული შედგენილობის ქვიშიან-თიხიანი ნალექები (მაიკოპის წყება). აღნიშნული ნალექები ტრანსგრესიულად გადაფარულია ზედაპლიოცენური ასაკის კონგლომერატ-თიხიან-ქვიშიანი ნალექებით (აღჩაგის წყება) რომლებზედაც განლაგებულია მდ. მტკვრის ალუვიური ნალექების 3 ტერასა.

უშუალოდ სამშენებლო მოედნის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს. ოლიგოცენ ქვედამიოცენური (E3-N11) ასაკის მაიკოპის წყება თხელშრეებრივი, არაკარბონატული თიხები, ქვიშაქვების და გრაველიტების შუაშრეებით და ლინზებით, რომლებიც განეკუთვნებიან ნახევრადკლდოვან ქანებს, რომლის საანგარიშო წინაღობა ადრეჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მონაცემებით მერყეობს 30-40 კგ/სმ² ფარგლებში.

მაიკოპის წყებაზე ტრანსგრესიულად, კუთხური უთანხმოებით განთავსებულია ალგაილური ასაკის (N23ak) ნალექები, რომლებიც წარმოდგენილია შეცემენტებული კონგლომერატებით, გაჯის და გაჯიანი თიხების მორიგეობით, იშვიათად გვხვდება მსხვილფრაქციული (90-150 მმ) ლოდნარ-ბრექჩიული ზონები.

ალგაილური ნალექები, ზემოდან გადაფარულია მდ. მტკვრის მძლავრი ალუვიური ნალექებით და წარმოდგენილია სუსტადშეცემენტებული, ზოგან შეუცემენტებელი და ფხვიერ შეუკავშირებელი ალუვიონის სახით, რომლებიც ზედაპირზე გადაფარულია ცვალებადი სიმძლავრის ტექნოგენური გრუნტებით და ნიადაგის თხელი საფარით.

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ი. ბუაჩიძე 1970წ) მოქცეულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის, თბილისის წყალწნვეიანი სისტემის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების ჰიდროგეოლოგიურ რაიონში.

საკვლევ უბანზე და მიმდებარე ტერიტორიის ფარგლებში გამოიყოფა ორი ძირითადი ჰიდროგეოლოგიური ერთეული:

- შუა და ზედა ოლიგოცენის და ნეოგენური ასაკის ვულკანოგენური დანალექი ქანების წყალშემცველი კომპლექსი;

- მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექების წყალშემცველი კომპლექსი.

ქვემოთ ვიძლევიტ ამ კომპლექსის დახასიანებას ცალ-ცალკე:

- შუა და ზედა ოლიგოცენისა და ნეოგენური ასაკის წარმონაქმნებში გრუნტის წყლები ძირითადად ნაპრალოვანი ტიპისაა. მათი ცირკულაციის სიღრმე დამოკიდებულია ძირითად ქანებში განვითარებული ნაპრალოთა სისტემის სიღრმეზე და ხარისხზე. ნაპრალოვანი გრუნტის წყლების მინერალიზაცია მერყეობს 2,5 დან 8,2 გ/ლ. ყველა წყალი თითქმის სულფატურია, კათიონებიდან მონაწილეობას იღებენ Ca და Mg, იშვიათად Na. მინერალიზაციის პროცენტის მომატებასთან ერთად ფიქსირდება ნატრიუმის იონების ზრდა. ნალექები მცირე

წყალშემცველობით ხასიათდებიან და წყლების ცირკულაცია ძირითადად ხდება ღრმა ნაპრალოთა სისტემაში, აქედან გამომდინარე ვეერდნობით ადრეულ წლებში გაყვანილ ჭაბურღილებში გახსნილი წყლის ჰორიზონტიდან აღებული სინჯების ლაბორატორიულ მონაცემებს.

წყლები ძირითადად სულფატურ-კალციუმიან-მაგნიუმიანი, ქლორიდულ-ნატრიუმიან-კალციუმიანია. ნაპრალოვანი გრუნტის წყლების საერთო მინერალიზაცია მერყეობს 2-დან 5 გრ/ლ-მდე. თითქმის ყველა წყლები შეიცავენ გოგირწყალბადს, რომლებიც ცალკეულ ჭაბურღილებში 15 მგ/ლიტრამდე აღწევს. ზოგ ჭაბურღილებში აღინიშნება მეთანის აირების (CH₄) გამოყოფა.

საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ თბილისის ტერიტორიაზე და მის გარეუბნებში ჩატარებული 20 მინერალური წყაროს ქიმიური ანალიზიდან ირკვევა, რომ წყაროები თავიანთი ქიმიური შედგენილობით და მინერალიზაციით, ერთმანეთისგან განსხვავებულია. გვხვდება სულფატურ-ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანი, სულფატურ-კალციუმიან-მაგნიუმიანი შემადგენლობის წყლები. მათი მინერალიზაცია მერყეობს 0,4 დან 0,8 გრ/ლიტრის ფარგლებში. წყლის ტემპერატურა ყველა წყაროებში მერყეობს 110 დან 170C-მდე. მყავე წყლები არ ფიქსირდება.

მეოთხეულ წარმონაქმნებში მიწისქვეშა წყლები, რომლებიც ფორმირდება ალუვიურ ნალექებში, განსხვავდებიან თავიანთი ქიმიური შედგენილობით, ხასიათდებიან ამაღლებული მინერალიზაციით და სულფატურ-ნატრიუმიან-მაგნიუმიან ტიპს განეკუთვნებიან. დებიტი მერყეობს 0,03 დან 1.0 ლ/წმ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობს 0.4 დან 3.0 გრ/ლიტრის ფარგლებში. შედარებით დაბალი მინერალიზაციის 0.4 დან 1.0 გრ/ლიტრამდე წყლები, სულფატურ-კალციუმიან-მაგნიუმიანია.

საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, საკვლევ ტერიტორია ს. ყარაჯალა, განლაგებულია 8 ბალიან სეისმურ ზონაში (MშK64-სკალა), სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.14. ქ. თბილისი #1, (სამშენებლო ნორმები და წესები - „სეისმომედეგი მშენებლობა“ - პნ 01.01-09). საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მიხედვით

საკვლევ ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულე) კატეგორიას ს.ნ. და წ. 1.02.07-87

საკვლევი უბანი მდებარეობს მდინარე ლოჭინის ორივე ნაპირზე და წარმოადგენს ქალისზედა ტერასას. სამშენებლო მოედანზე გამოყოფილია 5 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე), რომლებიც გადაფარულია ტექნოგენური გრუნტით.

სგე-0 –ნაყარი გრუნტი-კენჭნარ- ხრეშოვანი გრუნტი, თიხნარი სხვადასხვა კონსისტენციის.

სგე-1 კენჭნარ-ხრეშოვანი გრუნტი, კენჭების 10-15%-მდე ჩანართებით, ყავისფერ თიხნარის შემავსებლით.

სგე-2-თიხა ყავისფერი, ძნელპლასტიკური, კარბონატული, ჩანართების გარეშე.

სგე-3 კენჭოვან-ხრეშოვანი გრუნტი, კენჭების 15%-მდე ჩანართებით, მსხვილმარცლოვანი 40%-მდე ქვიშის შემავსებლით.

სგე-4 თიხა მოლურჯო-მონაცრისფრო, რბილპლასტიკური, კარბონატული ჩანართების გარეშე.

ჭაბურღილების და ლითოლოგიური ჭრილის აღწერებიდან გამომდინარე, ასევე გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული შესწავლის შედეგად მიღებული საანგარიშო მაჩვენებლებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. ტექნოგენური გრუნტები მათი არაერთგვაროვნების გამო მოიხსნება და გამოიტანება ქვაბულის ძირიდან.
2. საკვლევი ტერიტორია განლაგებულია სეისმურობის 8 ბალიან ზონაში.
3. სამშენებლო მოედნის სეისმურობა ფუნდამენტის მესამე კატეგორიის გრუნტზე: სგე-4 განთავსების შემთხვევაში განისაზღვრება 9 ბალით.
4. სამშენებლო მოედნის სეისმურობა ფუნდამენტის მეორე კატეგორიის გრუნტებზე: სგე-1 სგე-2 და სგე-3 განთავსების შემთხვევაში განისაზღვრება 8 ბალით.
5. სამშენებლო მოედანზე მშენებლობისათვის საშიში რაიმე გეოლოგიური მოვლენა ან პროცესი არ შეინიშნება;
6. წყლების დამარილიანების ტიპი ჰიდროკაბონატ-სულფატურ კალციუმიანია;
7. გამოვლენილი გრუნტის წყლები W4 პორტლანდცემენტების მიმართ ავლენენ სუსტ აგრესიულობას;
8. გარემოს აგრესიულობის ხარისხი მეტალის კონსტრუქციებზე მათი პერიოდულად დასველების შემთხვევაში არის სუსტი, ხოლო ქანების აგრესიული ზემოქმედების ხარისხი

ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი >0.1 მ/დღე-ღამე არის საშუალო;

არსებული ხიდის დახასიათება

არსებული ამორტიზირებული ხიდი მდებარეობს „წყვილ“ ლიანდაგზე, გეგმაში სწორ მონაკვეთზე, მართობულად კვეთს მდ. ლოჭინს;


ხიდი სამმალიანი ჭრილი სისტემის ნაგებობაა. მალის ნაშენად გამოყენებულია ფოლადის სხვადასხვა კონსტრუქციის გამჭოლი ფერმები. პირველ მალში განთავსებული ფერმა ქვედა სვლითაა, ხოლო მეორე და მესამე მალში მოწყობილი ფერმები შუასვლითაა. სავალი ნაწილი მოწყობილია ხის განძელებზე. სავალი ნაწილის ორივე მხარეს ხიდს გააჩნია ე.წ. სამსახურებრივი გასასვლელები 0,5 მ სიგანით და არასტანდარტული თავშესაფარებით. ხიდის აშენების შემდეგ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში სადგური ველის ირგვლივ განვითარდა სამრეწველო ობიექტები რისთვისაც პირველი მალის ფარგლებში, მდინარის კალაპოტის შეზღუდვის ხარჯზე მოეწყო უგაბარიტო გრუნტის გზა, რომელმაც ჩახერგა მდინარის კალაპოტი და 100 წლიანი ხარჯის გატარება პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა, რამაც თავის მხრივ სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა ამ მონაკვეთზე სარკინიგზო მოძრაობის უწყვეტობა. ხიდქვეშ უკონტროლო და უგაბარიტო ტვირთების მოძრაობის გამო მალის ნაშენის ქვედა სარტყელს მიყენებული აქვს გამოუსწორებელი დაზიანებები. საარქივო მონაცემების მიხედვით პირველი მალის ნაშენის ლითონკონსტრუქციის წონა შეადგენს 40.0 ტნ, ხოლო მეორე და მესამე მალის ნაშენების 55.0-55.0 ტნ.

ხიდის სანაპირო ბურჯები მასიური რკინაბეტონის (ბეტონის) კონსტრუქციისაა და მათი ხილული ნაწილი შედგება ტანის, ფერმისქვეშა ფილისა და საკარადე კედლისაგან. ბურჯების ხილულ ზედაპირები მოპირკეთებულია ფლეთილი, ქვით წამწისქვედებზე განთავსებულია ლითონის სხვადასხვა ტიპის საყრდენი ნაწილები კოჭების დასაყრდნობად, რომლებზედაც ნათლად შეიმჩნევა კოროზიული პროცესების გააქტიურება.


შუალედი ბურჯები მასიური რკინაბეტონისაა (ბეტონის) გეგმაში ტანის მომრგვალებული ფორმით. მიწისზედა ნაწილები მოპირკეთებულია ფლეთილი ქვით. როგორც სანაპირო ასევე შუალედ ბურჯებს რაიმე სერიოზული დაზიანებები ვიზუალურად არ ეტყობა.

საერთოდ როგორც სანაპირო ასევე შუალედი ბურჯები მშენებლობის დროს დაბეტონებულია უხარისხოდ მოწყობილ ყალიბებში, რის გამოც გააჩნიათ უსწორმასწორო ზედაპირები და კონსტრუქციული ელემენტების დარღვეული ფორმები.

არსებული ხიდის ამსახველი ფოტომასალა







საპროექტო გადაწყვეტილება

საპროექტო გადაწყვეტილება (კონტრაქტის პირობებიდან გამომდინარე) ითვალისწინებს არსებული ხიდის სრულ დემონტაჟს და რკინაბეტონის მალის ნაშენებიანი ახალი ხიდით შეცვლას.

გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნა არსებული რეალობიდან გამომდინარე შეზღუდვები და პრობლემები.

1. ასაშენებელი ხიდის პარალელურად, მდინარის დინების ქვედა მხრიდან არსებობს კიდევ ორი ხიდი „კენტ“ ლიანდაგზე და საავტომობილო გზაზე (იხ. სიტუაციური გეგმა), რომელთა განთავსება გეგმაში ზღუდავს მდინარის დინების რეჟიმის ცვლილების რაიმე შესაძლებლობას.

2. მიმდებარე ტერიტორიების ბოლოდროინდელი განაშენიანება, არსებული მიწის ნაკვეთების კუთვნილება და დანიშნულება არ იძლევა გეგმაში ხიდის ღერძის ცვლილების საშუალებას.

3. დამკვეთის პირობა ცალსახად მოითხოვს არსებული ლითონის მალის ნაშენების შეცვლას რკინაბეტონის მალის ნაშენებით.

4. არც საქართველოში და არც მეზობელ ქვეყნებში (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი) სერიულად არ მზადდება წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის სარკინიგზო ხიდების კოჭები (საქართველოში ტექნოლოგიაც კი არ არის ათვისებული) აქედან გამომდინარე, ფაქტიურად შეუძლებელია „კენტ“ ლიანდაგზე არსებული ხიდის ანალოგის აშენება, რაც ჰიდროლოგიური პირობების გათვალისწინებით ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა.

5. ერთადერთ შესაძლებლობად გვევლინება ჩვეულებრივი რკინაბეტონის კარკასული კოჭების გამოყენება, რომლის დროსაც ტიპური გადაწყვეტილებებით რეკომენდირებული და პრაქტიკაში აპრობირებული კოჭის მაქსიმალური სიგრძე შეადგენს 15.8 მეტრს (საანგარიშო სიგრძე).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკვლევაძიებო მასალების და ჰიდროლოგიური გაანგარიშების შეჯერების შემდეგ რაციონალურად ჩაითვალა ჭრილი-კოჭური სისტემის რკინაბეტონის ხიდის მოწყობა სქემით 4x16,5 მ.

ხიდი პროფილში განთავსებულია ჰორიზონტალურ მონაკვეთზე.

გეგმაში საპროექტო ხიდის ღერძი ემთხვევა არსებული (დემონტირებული) ხიდის ღერძს.

მალის ნაშენებად მიღებულია რკინაბეტონის კარკასული კოჭები ტიპური პროექტი სერია 3.501.1-175-93-ის მიხედვით („ПРОЛЕТНЫЕ СТРОЕНИЯ СБОРНЫЕ ЖЕЛЕЗОБЕ – ТОННЫЕ ДЛЯ ЖЕЛЕЗНОДОРОЖНЫХ МОСТОВ (баластное корыто шириной 4180 мм)“)

კოჭის მარკა B1.165-3, წონა იზოლაციის ჩათვლით 48.7 ტნ. დადებითი მხარე - შესაძლებელია საქართველოში დამზადება.

ტიპური პროექტის გადაწყვეტილების თანახმად საყრდენ ნაწილებად მიღებულია ტანგენციალური საყრდენი ნაწილები ტიპური პროექტი სერია 3.501.1-129 (ОПОРНЫЕ ЧАСТИ ЖЕЛЕЗОБЕТОННЫХ ПРОЛЕТНЫХ СТРОЕНИЙ ДЛИНОЙ ОТ 4.0 ДО 34.2 м ДЛЯ ЖЕЛЕЗНОДОРОЖНЫХ МОСТОВ). ხიდს გააჩნია სამსახურებრივი გასასვლელები და თავშესაფრები რომლებიც ეწყობა ტიპური პროექტი სერია 3.501.1-175-93-ს მიხედვით.

ჰიდროლოგიური გაანგარიშების თანახმად მაღალი წყლის ჰორიზონტი (1%) შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს 370,70 მ-ს. თანახმად მოქმედი ნორმების მოთხოვნებისა კონსტრუქციის ძირი იქნება 372,20 მ ნიშნულზე, ხოლო რელსის ქუსლი 374,155 მ-ზე. რაც ფაქტიურად უთანასწორდება „კენტი“ ლიანდაგის დონეს. აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია მისასვლელების დონის აწევა 1.31 მ-ით.

სანაპირო ბურჯები ეწყობა მასიური რკინაბეტონით არსებული ბურჯების ფუნდამენტების ნაწილობრივ გამოყენებით იხ. გრაფიკული ნაწილი). სანაპირო ბურჯების დაპროექტებისას გამოყენებულია ტიპური პროექტი სერია 3.501-79-ის გამოცდილება.

არსებული სანაპირო ბურჯების ფუნდამენტების გამოყენება საპროექტო ხიდის ბურჯების ფუნდამენტებად განპირობებულია ტექნიკური, ტექნოლოგიური და ეკონომიური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. არსებული სანაპირო ბურჯების ფუნდამენტების გეომეტრიული ზომები აღებულია ხიდის საპასპორტო მასალებიდან.

ვინაიდან კვლევა ძიების პროცესში შეუძლებელი იყო არსებული ხიდის სანაპირო ბურჯების უხილავი ელემენტების გაშიშვლება და გამოკვლევა პროექტი ითვალისწინებს დემონტაჟის სტადიაზე ჩატარდეს დამატებითი გამოკვლევები; ორივე სანაპირო ბურჯზე მოეწყოს საკვლევაძიებო გეოლოგიური ჭაბურღილები (სულ ორი ჭაბურღილი); ამოღებული დარღვეული და დაურღვეველი ბეტონისა და გრუნტის ნიმუშები შესწავლილი იქნას შესაბამის ლაბორატორიაში და დადგინდეს ბეტონისა და გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები; მიღებული ფიზიკურ-მექანიკური მონაცემების საფუძველზე შემოწმებული

იქნას ორივე სანაპირო ბურჯის სიმტკიცისა და მდგრადობის პირობები მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნათა შესაბამისად; საჭიროების შემთხვევაში პროექტში შეტანილი იქნას შესაბამისი ცვლილება საპროექტო ორგანიზაციის, დამკვეთისა და ტექნიკური ზედამხედველობის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან შეთანხმებით;

შუალედი ბურჯები წარმოდგენილია ორ-ორი დ=1500 მმ ნაბურღ-ნატენი ხიმინჯებით, რომლებიც უროსტვერკოდ ამოდის და ერთიანდება წამწისქვედას დონეზე.

სეისმური ზემოქმედების შემთხვევაში მალის ნაშენის გადაადგილება განივი მიმართულებით შეზღუდულია ანტისეისმური საბჯენებით.

მიწის ვაკისი

მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით შეირჩა საპროექტო ლიანდაგის ძირითადი პარამეტრები და ზედანაშენის ელემენტები.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო ხიდის მისასვლელზე და ხიდზე (გეგმაში) ლიანდაგის ღერძის მდებარეობის უცვლელად შენარჩუნებას.

მშენებლობის პროცესში აუცილებელია მიწის ვაკისის ძირითადი მოედნის მოსწორება და დატკეპნა მძიმეწონიანი მანქანა-მექანზმების გამოყენებით СТИ 01-95 ცხრილ 2.1-ში მოცემული დატკეპნის კოეფიციენტის შესაბამისად.

რკინიგზის საკონტაქტო ქსელის და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის რეკონსტრუქცია

სარეკონსტრუქციო და ახალი ლიანდაგების ელექტრიფიცირება ხორციელდება III კატეგორიის რკინიგზისათვის დადგენილი ტიპური ნორმების შესაბამისად. წვევის სახეობა - ელექტრული, 3.3კვ ძაბვის მუდმივ დენზე.

სარეკონსტრუქციო მონაკვეთზე საკონტაქტო ქსელის საყრდენებად გამოყენებულია რკინაბეტონის სს-13.6 ტიპის სათანადო სიმძალვრის საყრდენები (ГОСТ 19330-99 Стойки железобетонные для опор контактной сети железных дорог) და ფუნდამენტები. მდინარე ლოჭინის გადამკვეთ სარკინიგზო ხიდზე მონტაჟდება მნ-15/13 მარკის ლითონის საყრდენი (Типовой проект 3.501-51. Металлические опоры контактной сети). მატარებელთა არსებული სიჩქარეებისა და წონების მიხედვით საკონტაქტო საკიდრის გადასარბენებზე მიღებულია მ-

120+2მგ-100 ტიპის (ГОСТ 32697-2019 Тросы контактной сети железной дороги несущие и ГОСТ 2584-86. Провода контактные из меди и ее сплавов)

უზნის სარეკონსტრუქციო მონაკვეთების სიგრძეებზე გათვალისწინებულია არსებული მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების დემონტაჟი და ახლის მშენებლობა საკონტაქტო ქსელის საყრდენების გამოყენებით. მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მარკა განისაზღვრება ას-50 მარკის სადენით, რომელიც საყრდენებზე დამონტაჟდება 6-10კვ მაღალი ძაბვის ლითონის ტრავერსებისა და შგ-20 მარკის იზოლატორების გამოყენებით.

კომუნიკაციების დროებითი გატანა მშენებლობის ზონიდან; პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს „სგბ“-ს და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების დროებით გატანას მშენებლობის ზონიდან უსაფრთხო მანძილზე;

მდინარე ლოჭინის მოკლე ჰიდროლოგიური ანგარიში

მდინარე ლოჭინი იღებს სათავეს იალნოს ქედის სამხრეთ-დასავლეთ განშტოების აღმოსავლეთ კალთებზე, მთა საღანძილის სამხრეთ-აღმოსავლეთით პატარა ხევისა და წირდლის ხევის შეერთებით 785მ. სიმაღლეზე და ერთვის მდ. მტკვარს მარცხენა მხრიდან 867კმ მისი შესართავიდან.

მდინარე ლოჭინის აუზი მკაფიოდ იყოფა მთიან და დაბლობ ზონებად. მთიანი ზონის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ქვიშაქვები, მერგელები და ძველი კონგლომერატები. აუზის ქვედა ზონის გეოლოგიური აგებულება კი წარმოდგენილია შედარებით ახალი ალევური განფენებით.

მდინარის აუზში ძირითადად გავრცელებულია თიხნარი შემადგენლობის ტყის ყავისფერი ნიადაგები.

აუზის ზედა ზონაში გავრცელებულია ფოთლოვანი ტყე, დაბლობი კი ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით.

მდინარის წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება თოვლის დნობით, გამოწვეული გაზაფხულის წყალდიდობით, წვიმებით გამოწვეული ზაფხულ-შემოდგომის წყალმოვარდნებით და ზამთრის არამდგრადი წყალმცირობით. აღსანიშნავია, რომ შემოდგომის წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნების დონეები ბევრად აღემატება თოვლის დნობით

გამოწვეული გაზაფხულის წყალდიდობების დონეებს. ზამთრის წყალმცირობის დონეები ხშირად ირღვევა წვიმებით.

მდინარე ლოჭინი საზრდოობს თოვლის, წვიმის და გრუნტის წყლებით, სადაც გრუნტის წყლების ნაწილი მდინარის საზრდოობაში უმნიშვნელოვანია.

საპროექტო ხიდის კვეთამდე მდ. ლოჭინის სიგრძე შეადგენს (L=30,8კმ), წყალშემკრები აუზის ფართობია (Ω=207 კმ²), ხოლო მდინარის საშუალო ქანობი (I=0,023).

მდინარე ლოჭინი ჰიდროლოგიური თვალსაზრისით არ არის შესწავლილი, ამიტომ მისი წყლის მაქსიმალური ხარჯების ანგარიში საპროექტო კვეთში განხორციელებულია თანახმად ტექნიკური მითითებებისა „მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის ანგარიში კავკასიის პირობებში“.

შესაბამისი საანგარიშო ფორმულა შემდეგი სახისაა:

$$Q = \frac{R \cdot \Omega^{2/3} \cdot K^{1.35} \cdot \Sigma^{0.38} \cdot I^{0.125}}{(L+10)^{0.44}} \cdot \Pi \cdot \lambda$$

R - რაიონული პარამეტრია = 1,15

Ω - მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობია = 207კმ²

K - კლიმატური კოეფიციენტი 11,23 (6)

Σ - განმეორების კოეფიციენტი წლებში (100, 50, 10).

I - გაწონასწონასწორებული ქანობი = 0,023

L - მდინარის სიგრძე საპროექტო კვეთამდე = 30,8კმ

Π - ნიადაგის პარამეტრი = 1,0 (4)

ნ - აუზის ფორმის კოეფიციენტი = 1,21

λ - აუზის ტყიანობის კოეფიციენტი = 0,893.

ჩავსვავთ რა შესაბამის სიდიდეებს ზემოთ მოყვანილ ფორმულაში, მივიღებთ:

$$Q_{1\%} = 343 \text{ მ}^3/\text{წ}, \quad Q_{2\%} = 264 \text{ მ}^3/\text{წ}, \quad Q_{10\%} = 143 \text{ მ}^3/\text{წ}$$

შესაბამისი ხარჯების მაქსიმალური დონეების დასადგენად, საპროექტო კვეთში დამუშავებული იქნა მდინარის კალაპოტის განივი კვეთი. ამ კვეთში სხვადასხვა

დონეებისათვის მდინარის სიჩქარის დასადგენად გამოყენებული იქნა შეზი-პავლოვსკის ფორმულა, რომელიც შემდეგი სახისაა: $V = C \sqrt{Ri}$, $C = \frac{1}{n} R^y$ შეზის კოეფიციენტი.

n - ხორკლიანობის კოეფიციენტი

R - ჰიდრაულიკური რადიუსია

$$y = 2,5\sqrt{n} - 0,13 - 0,75\sqrt{R(\sqrt{n} - 0,10)}$$

ამ ანგარიშის პარამეტრები:

$$n = 0,154\sqrt{0,012} + 0,0005 = 0,05$$

ცხრილი N1 მოყვანილია ეს ანგარიში:

ცხრილი N1

	▽H _ა	B _ა	W _ა ²	t _ა	R	n	v _ა /წ	Q _ა ³/წ	
1	369,5	65,0	41,84	0,65	0,64	0,05	1,52	63,6	H ₁ =370,70 მ
2	370,0	„-“	71,43	1,12	1,08	„-“	2,28	163	H ₂ =370,40 მ
3	370,5	„-“	101,2	1,58	1,51	„-“	2,88	291	H ₁₀ =369,85 მ
4	371,0	„-“	131,0	2,05	1,81	„-“	3,25	426	W ₁ =113 მ²

საანგარიშო დონეების მისაღებად ამ ცხრილის მონაცემების მიხედვით აგებულია დამოკიდებულების მრუდები Q=f(H) და W=f(H). მდინარის ხიდქვეშა კალაპოტის საერთო წარეცხვა ნაანგარიშებია თანახმად მითითებებისა „სახიდე გადასასვლელების კვლევა-ძიება და პროექტირება“

Q_{1%} - საანგალიშო წყლის ხარჯი = 343 მ³/წ

H_{1%} - შესაბამისი დონის ნიშნული = 370,70 მ

▽H - მდინარის ხიდქვეშა კალაპოტის უმდაბლესი ნიშნული = 368,80 მ

W₁ - ხიდქვეშა კალაპოტის ფართობი = 113 მ²

L - ხიდქვეშა კალაპოტის სიგანე = 65მ

t - ხიდქვეშა კალაპოტის საშუალო სიღრმე = 1,74 მ

T_m - ხიდქვეშა კალაპოტის მაქსიმალური სიღრმე = 1,90 მ

q - საშუალო ერთეული ხარჯი = 5,79 მ²/წ

q_m - მაქსიმალური ერთეული ხარჯი = 6,71 მ²/წ

d - მდინარის მონატანი მასალის საშუალო დიამეტრი - 7,71 მმ

$W, \frac{1}{1+X}$ - წარეცხვის საანგარიშო ფორმულის პარამეტრები, შესაბამისად 1,20, 0,74.

$T_{წ}$ - საერთო წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე = 3,57 მ

სწნ - საერთო წარეცხვის ნიშნული = 367,13 მ

წსუნ - წარეცხვის სიღრმე კალაპოტის უმდაბლესი ნიშნულიდან = 1,67 მ

ადგილობრივი წარეცხვის სიღრმე შუალედური ბურჯების ირგვლივ ნაანგარიშებია თანახმად BCH 62 – 69.

H - საანგარიშო სიღრმე საერთო წარეცხვის შემდეგ = 3,57 მ

W - მონატანი მასალის ჰიდრავლიკური სიმსხვილე = 0,32 მ

V - საშუალო სიჩქარე შუალედურ ბურჯთან = 1,88 მ/წ

V_0 - წამრეცხავი სიჩქარე = 1,46 მ/წ

b - ბურჯის საშუალო სიგანე = 1,9 მ


β - დამხმარე სიდიდე = 0,10

h_0 - დამხმარე სიდიდე = 1,91

h - ადგილობრივი წარეცხვის სიღრმე = 1,94 მ

მწნ - მაქსიმალური წარეცხვის ნიშნული = 365,19 მ

ანგარიში შეადგინა
ჰიდროლოგმა

 /ლ. გიგუაშვილი/

მშენებლობის ორგანიზაცია

მშენებლობის ორგანიზაციის დაგეგმვისას ვხლმძღვანელობთ როგორც ნაგებობის კონსტრუქციული თავისებურობით ასევე ქალაქანაშენიანებისა და ტოპოგრაფიული სივრცული შეზღუდვების მხედველობაში მიღებით. აქედან გამომდინარე საწარმოო ბაზა განვათავსეთ ს.ს. „საქართველოს რკინიგზის“ კუთვნილ ტერიტორიაზე, მარჯვენა მისასვლელზე. სამშენებლო მოედანს მჭიდროდ ესაზღვრება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მფლობელობაში მყოფი ტერიტორიების საკადასტრო ხაზები. ვითვალისწინებთ რა აღნიშნულ გარემოებას მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვისარგებლოთ ქალაქში განთავსებული სამრეწველო (ბეტონის ქარხანა, ლითონის, ხეტყის დამამუშავებელი, სარემონტო და სხვა) საწარმოების მომსახურებით და სამშენებლო მოედანზე გავითვალისწინოთ პირველადი საჭიროების დროებითი შენობა ნაგებობები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროექტი ითვალისწინებს მცირე საწარმოო ბაზის მოწყობას, რომელზედაც განთავსებულია საწარმოო და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის აუცილებელი დროებითი ნაგებობები.

პირველ რიგში ხორციელდება მოსამზადებელი სამუშაოები. მცირე საწარმოო ბაზისათვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოღობვა, ადგილობრივ ადმინისტრაციულ და სანიტარულ ორგანიზაციებთან საკითხების შეთანხმება, მასალების და მომსახურების მომწოდებლებთან შეთანხმება და ხელშეკრულებების გაფორმება, აგრეთვე სამშენებლო მოედნის ენერგეტიკული რესურსებით მომარაგება.

შემდეგ სტადიაზე ხორციელდება დაკვალივითი სამუშაოები, დროებითი ტექნოლოგიური გზის მოწყობა. ყოველივე ზემოაღნიშნულის სრულფასოვნად შესრულების შემდეგ იწყება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. სამუშაოები იწყება მისასვლელი ტექნოლოგიური გზისა და სამშენებლო მოედნის მოწყობით. მალის ნაშენის რკ.ბეტონის კოჭების მონტაჟი გათვალისწინებულია ავტომანქანის, გამოყენებით (იხ. გრაფიკული ნაწილი)

კონტრაქტორი ვალდებულია პროექტში მოცემული მშენებლობის ორგანიზაციის სქემების მიხედვით მონტაჟისა და დემონტაჟის ყველა ტექნოლოგიურ პროცესზე დაამუშაოს ტექნოლოგიური რუკები და სმუშაოთა წარმოების წესები (ИИП) და დადგენილი წესით შეათანხმოს დამკვეთისა და ტექნიკური ზედამხედველობის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან.

პროექტში მოცემული მშენებლობის ორგანიზაცია ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს; კონტრაქტორი უფლებამოსილია შეიმუშაოს მისთვის ხელსაყრელი მშენებლობის სხვა ორგანიზაცია, რომელიც არ ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედ ნორმებს და შეათანხმოს დამკვეთისა და ტექნიკური დოკუმენტაციის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან.

მშენებლობის პროცესში მკაცრად დაცული უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოდ წარმოებისა და ბუნების დაცვითი ღონისძიებები. სამუშაოზე დაიშვებიან მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციისა და სპეციალობის მქონე პირები, რომლებსაც გავლილი აქვთ უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე და სათანადო სამედიცინო შემოწმება. მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამუშაოს სახეობათა შესაბამისი სპეც. ტანსაცმლით, სპეც. ფეხსაცმლით და სათანადო აღჭურვილობით. სამშენებლო მოედანზე შრომის დისციპლინაზე, სამუშაოთა შესრულების ხარისხზე და უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, პასუხისმგებლობა ეკისრება კონტრაქტორის მიერ ბრძანებით დანიშნულ პირს (უბნის უფროსს ან სამუშაოთა მწარმოებელს). სამშენებლო მოედანზე სათანადო ნებართვის გარეშე არ დაიშვებიან უცხო პირები, მიუხედავად სამსახურებრივი თანამდებობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა.

განსახლების სამოქმედო გეგმა საჭირო არ არის, ვინაიდან, ახალი ხიდი განთავსებულია არსებული მიწის ვაკის ფარგლებში და არც მუდმივი და არც დროებითი ღონისძიებების განსახორციელებლად კერძო მფლობელობაში მყოფი ნაკვეთების დაკავება არ ხდება.

მშენებლობის ნორმატიული ვადაა 14 თვე

მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები

ჩვენს მიერ შედგენილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ითვალისწინებს სნ და წ 3.01-03-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვაზე;

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება პროექტირებაზე;
- პროექტით მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტები;
- სარეკონსტრუქციო ობიექტის სიტუაციური გეგმა;

გეოდეზური გეგმები და პროფილები;

2. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარზე დაფუძნებული უსაფრთხოების) შესაბამისობით.

3. მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია, საჭიროების შემთხვევაში, ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობით.

4. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის და ს.ს. „საქართველოს რკინიგზის“ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, ვადები აითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული თარიღების მიხედვით.

5. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა პროექტში მითითებული მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით. ბეტონის მიწოდებისთვის უნდა გამოვიყენოთ მიქსერები და ბეტონდამჭირხნი. სამუშაოები უნდა შესრულდეს სნ და წ 333-15-80-ით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

6. გეოდეზურ-დაკვალვითი სამუშაოები სრულდება სნ და წ 3.01-01-85 „გეოდეზური სამუშაოები მშენებლობაში“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7. მშენებლობა უნდა განხორციელდეს დამკვეთისა და საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენლობის ზედამხედველობის ქვეშ.

8. რეაბილიტაციის ორგანიზაცია და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით.

ყველა ნებართვის აღების შემდეგ დაიწყება მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება უსაფრთხოების წესების სრული დაცვით თანახმად საქართველოში მოქმედი:

1) “მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის თაობაზე, (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 27.05.2014წ. #361 დაგენილებით); 2) „მშენებლობის უსაფრთხოების წესების“ (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 28.03.2007წლის #62 დადგენილებით) და 3) „სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“; „მშენებლობის

უსაფრთხოების წესები“ და სხვა ნორმატულ- საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით, კერძოდ:

9. მოედნის მოშანდაკებისა და საძირკვლის ქვეშ ქვაბულის ამოღების სამუშაოები უნდა წარიმართოს მექანიზებული წესით თანახმად სნ და წ 3.02.01-83-ისა. 10.

ყველაზე შრომატევად და საპასუხისმგებლო სამუშაოებად გვევლინებიან დაარმატურებისა და დაბეტონების პროცესები. მათი შესრულება აუცილებელია სნ და წ 11115-76 მოთხოვნე გარემოს დაცვა და შრომის უსაფრთხოება პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე განსაკუთრებული გარემოს დაცვით და შრომის უსაფრთხოების ღონისძიებებს; კონტრაქტორი ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით. ასევე ვალდებულია შეიმუშაოს ტექნოლოგიური რეგლამენტები და სამუშაოთა წარმოების წესები (ППП) და შეათანხმოს დამკვეთის უფლებამოსილ წარმომადგენელთან (ტექნიკურ ზედამხედველთან);

საკონტაქტო ქსელისა და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის რეკონსტრუქციის რეალიზაციის წესები

საკონტაქტო ქსელის სარეკონსტრუქციო მონაკვეთზე სამუშაოები ხორციელდება ეტაპების მიხედვით:

1 ეტაპი - საკონტაქტო ქსელის დემონტაჟის დაწყებამდე უნდა დადგეს 2ც საკონტაქტო ქსელის საყრდენი N01; და N05 (იხ ნახაზი), რომლებთანაც მოეწყოს დროებითი საანკერო კვანძები (ტა-4 მარკის ფუნდამენტები და ბპ-1 ტიპის საანკერო მომჭიმავები) 2,5 საათიან ტექნოლოგიურ „ფანჯარაში“. ჩაიჭრას და დემონტაჟი გაუკეთდეს სალიანდაგო გადასასვლელისა და არსებულ საკონტაქტო გამტარს, მზიდ გვარლს და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზს 450 მეტრ მანძილზე, ყველა სადენი და გამტარი დროებით, ხისტად დაანკერდეს - დასავლეთის მხარე N01 ანძაზე, ხოლო აღმოსავლეთის მხარე N05 ანძაზე. დემონტაჟი გაუკეთდეს 2 ერთეულ ლითონისა და 4 ერთეულ რკინაბეტონის საკონტაქტო ქსელის საყრდენს. საყრდენებისა და ფუნდამენტების მონტაჟზე და დემონტაჟზე გამოყენებულ იქნას სარკინიგზო სვლის ამწე და ექსკავატორი ტრანსპორტიორზე, რომელთა გადაადგულება და მუშაობა მოხდეს თბომავლით. ამის შემდგომ მიეცეს ფრონტი ხიდის მშენებლობას.

2 ეტაპი – ახალი ხიდის მშენებლობის შემდგომ, დაიდგას საკონტაქტო ქსელის N02 და N04 რკინაბეტონის სს-136,6/3 მარკის საყრდენები და ხიდზე - N3 მნ-15/13 მარკის ლითონის საყრდენი. N04 ანძასთან მოეწყოს საანკერო კვანძი (ტა-4 მარკის ფუნდამენტი და ბპ-1 ტიპის ორმაგი საანკერო მომჭიმავი), N01 და N05 ანძებთან დემონტაჟი გაუკეთდეს დროებით საანკერო ფუნდამენტებს და საანკერო კვანძებს, NN01; 02; 03; 04 და 05 საკონტაქტო ქსელის საყრდენებზე გაიშალოს მ-120+2მგ-100 საკონტაქტო ქსელი 340მ და 6-10 კვ ხაზის ლითონის კრონშტეინების გამოყენებით, გაიშალოს 510მ 3Xას-50 ფოლადალუმინის გამტარი.

მუშაობის დაწყებამდე შემსრულებელი დამკვეთს უთანხმებს სამუშაოების წარმოების გრაფიკს, რომელშიც სამუშაოთა შესრულების პროექტის საფუძველზე მოცემული უნდა იყოს სამუშაოების მოცულობა, მათი რიგითობა და ცალკეული ლიანდაგების დაკავების ხანგრძლივობა.

საკონტაქტო ქსელის და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების სარეაბილიტაციო, სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამუშაოები მიმწოდებლის მიერ უნდა სრულდებოდეს დამუშავებული პროექტის და რკინიგზების ელექტრომომარაგების მოწყობილობების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების და მიღების ნორმების СТН ЦЭ-12-00, СНиП 3.05.06-85, СНиП III-41-76 და ВСН-12-92 პირობების სრული დაცვით.

მუშა ნახაზებში ცვლილებების შეტანა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ იგი არ იწვევს მშენებლობის ხარისხის გაუარესებას და განხორციელდება მხოლოდ დამკვეთსა და საპროექტო ორგანიზაციასთან ცვლილებების შეთანხმების შემდეგ.

ელექტრომომარაგების მოწყობილობების სარეაბილიტაციო, სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელებს და უშუალო შემსრულებლებს უნდა ჰქონდეთ რკინიგზების ექსპლუატაციის მოქმედი წესების, სიგნალიზაციისა და მატარებელთა მოძრაობის ინსტრუქციების და შრომის დაცვის წესების დადგენილი მოცულობით ჩაბარების დამადასტურებელი მოწმობა.

საკონტაქტო ქსელის ელემენტების, სატრანსფორმატორო პუნქტის მოწყობილობებისა და ენერგეტიკული მეურნეობის საშუალებათა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე უნდა იყოს შემოწმებული მასალა-დანადგარების ვარგისიანობა და კომპლექტაცია მათი მიღების გაფორმებით.

გადასარბენზე რკინიგზის ლიანდაგების დაკავებით საკონტაქტო ქსელის სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისათვის მიმწოდებლის მიერ დამკვეთისადმი განაცხადის წარმოდგენის საფუძველზე გათვალისწინებული უნდა იყოს “ფანჯრები” ოპტიმალური ხანგრძლივობით, მაგრამ არა ნაკლები 6-10 საათისა; “ფანჯრები” უნდა მიეცეს დღეღამის ნათელ პერიოდში.

საკონტაქტო ქსელის საყრდენების დაყენების ადგილი უნდა იყოს დაფიქსირებული რელსის ყელის გარე მხარეზე საყრდენის რიგითი ნომრის და დაყენების გაბარიტის ჩვენებით. რკინიგზის მოქმედ ხაზებზე საკონტაქტო ქსელის საყრდენის დასაყენებელი ქვაბულის დამუშავება უნდა წარმოებდეს სალიანდაგო დარგის წარმომადგენლის წინასწარი გამოძახებით და თანდასწრებით.

იკრძალება სამონტაჟო სამუშაოების წარმოება, ვიდრე არ მოხდება მოწყობილობა-დანადგარების სამონტაჟოდ მიღება-ჩაბარების სათანადო აქტების გაფორმება.

საკონტაქტო ქსელის საყრდენებზე მიმწოდებლის მიერ დატანილ უნდა იქნეს საყრდენის რიგითი ნომერი და მაღალი ძაბვის აღმნიშვნელი ნიშანი დადგენილი ფორმით.

ყველა ლითონკონსტრუქცია (ხიდები, გზაგამტარები, შუქნიშნები, ცალკემდგომი საყრდენები, შენობის სახურავები და ა.შ) რომლებიც განლაგებულია საკონტაქტო ქსელის ძაბვის ქვეშ მყოფი ნაწილებიდან 5მ. ნაკლებ მანძილზე, დამიწებულ უნდა იყოს წვეის რელსზე; ასევე დამიწებულ უნდა იყოს საკონტაქტო ქსელის ყველა საყრდენი, მაღალი ძაბვის იზოლატორის სამაგრი კონსტრუქციები, რკინაბეტონის საყრდენებზე და ხელოვნურ ნაგებობებზე განლაგებული 6-10კვ. ძაბვის საჰაერო ხაზები და რკინაბეტონის საყრდენების ლითონის საჭიმარების სამაგრი დეტალები.

ელექტრიფიცირებულ რკინიგზებზე გზაგამტარ და საქვეითო ხიდებზე მოწყობილ უნდა იყოს პროექტის შესაბამისად საკონტაქტო ქსელის მაღალი ძაბვის დამცავი ფარები.

საკონტაქტო ქსელზე სამონტაჟო სამუშაოების გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში მაღალხარისხოვნად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სამშენებლო სამუშაოები უნდა ტარდებოდეს კომპლექსურად CTH IIЭ-12-00 სამშენებლო ნორმების მოთხოვნების საფუძველზე.

სამშენებლო კონსტრუქციების მიღების საწყისი კონტროლის მოთხოვნების შესაბამისად უნდა იყოს შედგენილი: საყრდენების, ფუნდამენტების, ანკერების, ხისტი განივების

პასპორტები, საყრდენების, ფუნდამენტების, ანკერების, საჭიმარების იზოლაციის წინაღობის გაზომვის ოქმები, დამამზადებელი ქარხნიდან მიღებული საყრდენების და ფუნდამენტების ხარისხის შემოწმების აქტები.

საკონტაქტო ქსელის საყრდენი კონსტრუქციების დატვირთვა, გადაზიდვა და დასაწყობება უნდა სრულდებოდეს დატვირთვის, დამაგრების და ვაგონის გამოყენების მოქმედი ტექნიკური პირობებით და რკინიგზის ტრანსპორტის სპეციალური ინსტრუქციებით.

საკონტაქტო ქსელის საყრდენების ქვეშ ქვაბულების დამუშავებამდე უნდა ჩატარდეს საყრდენების დადგმის ადგილის დაკვალვა პროექტის შესაბამისად რომელიც ფორმდება აქტით.

საყრდენების და ფუნდამენტების დაყენების შემდეგ უბეების შევსება უნდა ხდებოდეს სათანადო ფრაქციის გრუნტით, ხოლო გრუნტის ტკეპნა ნაწილ-ნაწილ, არაუმეტეს 20სმ სისქის ფენებად.

საკონტაქტო ქსელის ლითონის და რკინაბეტონის საყრდენების დადგმა, როგორც “ლიანდაგებიდან” ასევე “მინდვრიდან”, უნდა წარმოებდეს მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების მოქმედი წესების და ინსტრუქციების პირობების დაცვით. საყრდენების დადგმას უნდა ესწრებოდეს სამუშაოთა ხელმძღვანელი.

ლითონის და რკინაბეტონის ბუნიკიანი საყრდენები უნდა იყოს გაიზოლირებული რკინაბეტონის ფუნდამენტის არმატურისაგან პროექტის შესაბამისად.

საკონტაქტო ქსელის მონტაჟი წარმოებს მშენებელი ორგანიზაციის მიერ ქვაბულების, საყრდენებისა და ფუნდამენტების დადგმის ფარული სამუშაოების შემოწმების აქტის და საყრდენი კონსტრუქციების სამონტაჟოდ მიღების აქტის ჩაბარების შემდეგ.

